



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

19/05/2022

03/06/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საკაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული, გადაწყვეტილების ნომერი: 652935 გადაწყვეტილების თარიღი: 31.07.2020

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტამე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
--	---

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ცინცაძე, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ალექსიძე, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე, პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2020 წელს და მიიღო პირობითი აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება NMES 7 20 0000652935, 31.07.2020). ამჟამად პროგრამა გადის რეაკრედიტაციას.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ კომპლექსური ბიზნეს სამყაროს და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა და ადჟურვილი იქნებიან სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი და ზოგადად ორგანიზაციების პროცესების მართვისთვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების უნარებით. პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია 240 კრედიტის მოცულობით და გადნაწილებულია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა მოიცავს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 170 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი;
- თავისუფალი სავალდებულო კომპონენტები - 24 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი კომპონენტები - 16 კრედიტი.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პრაქტიკის კომპონენტი (17 კრედიტი) და ინგლისური ენის კომპონენტი, რომელიც წარმოდგენილია ზოგადი (12 კრედიტი) და პროფესიული ინგლისურის ენის (12 კრედიტი) შემსწავლელი სასწავლო კურსების სახით.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ

დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარდება შემდეგი სასწავლო საგნები:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული);
- მათემატიკა ან ისტორია;

საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 44 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან 16 არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ხოლო 28 მოწვეული დარგის სპეციალისტი. პროგრამაზე ამჟამად ირიცხება 298 სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი დადებითია და წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობით 13 მიღება / 10 წასვლა.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიური ხარისხი. პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი 85 პროცენტს აღწევს, მათ შორის დაახლოებით 50 პროცენტი დასაქმებულია მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები სწორედ იმ დარგობრივ კომპანიებში არიან დასაქმებულები რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

2022 წლის 19 მაისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტის დროს უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა პრაქტიკის დღიურებისა და პრაქტიკის ანგარიშების ფორმების გადახედვა, დაზუსტდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტანაფარდობის რაოდენობა, განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. შემოწმდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში

ხელმისაწვდომობა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამდებარე დასკვნის მიხედვით საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, კერძოდ:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 2.2 და 2.3 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სადაც 4.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, სადაც 5.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია კორპორაციული ფინანსების საფუძვლების სასწავლო კურსი, გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
2. რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
3. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკორექტდეს მათზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად: პროექტების მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, ექსპორტის მენეჯმენტის, საინოვაციო მენეჯმენტის

სასწავლო კურსების წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსი. კორპორაციული ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვის კურსი; საგადასახადო საქმის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების კურსი; ინვესტიციების საფუძვლების წინაპირობად მიეთითოს კორპორაციული ფინანსების საფუძვლების სასწავლო კურსი;

4. რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (აღნიშნული კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება) განისაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის დადგომამდე არსებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა;
5. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (აკადემიური წერის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ავიაციის საფუძვლები, ავიაბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მმართველობითი აღრიცხვა, საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა“ სწავლის შედეგების ფორმულირებების დახვეწა, რათა მოხდეს მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდა;
6. რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება, მაგალითად სასწავლო კურსის „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“.
7. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად, სტენლი ი. პორტნი, (For Dummies) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: ადამიანური რესურსების მართვა, აკადემიური წერის საფუძვლები, ბიზნესის ეთიკა, საერთაშორისო ბიზნესი, მეწარმეობა, აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართვა, საჰაერო კანონმდებლობა, საავიაციო ტექნიკის საფუძვლები;
8. რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;
9. რეკომენდებულია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით;
10. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას,

კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით;

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს ინგლისური ენის შემსწავლელი დამხმარე კურსები და გამოიყენოს ე.წ. ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების მექანიზმი.
2. სასურველია ასევე პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები როგორცაა: „ავიაცია და გარემო“ და B2B მარკეტინგი. აღნიშნული კურსები პროგრამაში წარმოდგენილია არჩევითი კურსების სახით, თუმცა მათი სავალდებულო კურსების სახით ტრანსფორმაცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
3. სასურველია სასწავლო კურსი ექსპორტის მენეჯმენტი გადატანილი იქნეს არჩევით სასწავლო კურსების მოდულში, ხოლო სასწავლო კურსები ინფორმაციული ტექნოლოგიები 1 და ინფორმაციული ტექნოლოგიები 2 ჩამოყალიბდეს ერთი სასწავლო კურსის სახით, რაც ცხადია სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გამოათავისუფლებს გარკვეულ კრედიტების მოცულობასაც;
4. სასურველია სასწავლო კურსებს ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, საერთაშორისო ფინანსების საფუძვლები და ფინანსური რისკების მართვა მოეხსნას წინაპირობად ფინანსების საფუძვლების (ასეთი კურსი პროგრამაში არ გვხვდება) და ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსები და შესაბამისად მიეთითოს: ეკონომიკის პრინციპები 2 და სტატისტიკა ბიზნესისათვის, ხოლო საჭაერო კანონმდებლობის სასწავლო კურსის წინაპირობას განისაზღვროს ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების სასწავლო კურსი;
5. სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდება „მგზავრების და ბარგის ჰენდლინგი“ დაკორექტირდეს სასწავლო გეგმაში მოყვანილ სახელწოდების „მგზავრების და ბარგის მომსახურება“ შესაბამისად;
6. სასურველია სასწავლო კურსის „ავიაკომპანიის ოპერაციები“ სახელწოდება კურსის შინაარსის გათვალისწინებით უმჯობესია დაკორექტირდეს, როგორც ავიაკომპანიის ოპერირება ან ექსპლუატაცია;

7. სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააქტიუროს ინტერნაციონალიზაციის პროცესები და უზრუნველყოს მასში მეტი სტუდენტის მონაწილეობა;
8. სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააძლიეროს ძალისხმევა სტუდენტებში პლაგიატის შემოწმების პროცედურების შესახებ;
9. სასურველია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდეს გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია;
10. სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტებთან მუშაობა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირულ საკითხებზე;
11. სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა პარტნიორი უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული პერსონალის შესაბამის სასწავლო კურსზე დასაქმების/მოწვევის პრაქტიკის განვითარების მიზნით, აგრეთვე, უზრუნველყოს პერიოდული მასტერკლასების/ვორქშოპების ორგანიზება დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის;
12. სასურველია დაწესებულებამ სასწავლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის განახლების საჭიროებიდან გამომდინარე გაზარდოს საბიბლიოთეკო ხარჯები.
13. სასურველია ანგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;
14. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. დამსაქმებლების მხრიდან ხორციელდება სტუდენტების წახალისება სტიპენდიების სახით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხდება სწავლის საფასურის დაფინანსება;
2. უნივერსიტეტის მხრიდან აქტიურად ხორციელდება სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტებისათვის ფინანსური მხარდაჭერა სწავლის საფასურის დაფინანსების სახით;

3. პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან იმ კომპანიებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები;

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2020 წელს და მიიღო პირობითი აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება NMES 7 20 0000652935, 31.07.2020). ამჟამად პროგრამა გადის რეაკრედიტაციას, შესაბამისად პროგრამაში განხორციელებულია რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში საჰაერო ტრანსპორტთან და ავიაციასთან კავშირის გამოკვეთის და საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტთან დაკავშირებული სასწავლო კურსების გაძლიერების მიზნით, პროგრამას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში დამატებულია შემდეგი სასწავლო კურსები: საჰაერო კანონმდებლობა, საერთაშორისო საავიაციო ტრანსპორტის ეკონომიკა, ადამიანური ფაქტორი ავიაციაში, აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართ, ავიაკომპანიის ოპერაციები, საავიაციო უსაფრთხოება და რისკების, მგზავრებისა და ბარგის მომსახურება, სატვირთო ავიაცია და ლოგისტიკა;
- გაზრდილია ასევე სწავლების ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები ჩამონათვალი: საავიაციო შემთხვევების მოკვლევა, ავიაცია და გარემო, ინდუსტრიული ავიაციის მართვა, ხარისხის და უსაფრთხოების სისტემები ავიაციაში;
- გასწორდა და დაკორექტირდა ზოგიერთი სასწავლო კურსის (ინფორმაციული ტექნოლოგიები 1, საერთაშორისო ბიზნესი, მარკეტინგის საფუძვლები, ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები, პროექტების მართვა, სილაბუსებში ჩაემატა სამოქალაქო ავიაციის თემატიკის პრაქტიკული მაგალითები (case study);) მიზანი, განახლდა კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები და ა.შ. ;
- გაკორექტირებული პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- განახლებულია ცალკეული სასწავლო კურსის ლიტერატურა;
- გაფორმდა ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები კერძო და სახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებთან;

- გაიზარდა საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების რიცხვი, გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმები;

დაწესებულების არგუმენტირებული მოსაზრებების გაზიარება:

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ დამატებითი არგუმენტირებული მოსაზრებები ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არ წარმოუდგენია.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებსა და დაწესებულების მისიის განაცხადს შორის ლოგიკური კავშირი იკვეთება, რაც თანხვედრაშია უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარების გეგმასთან 2021-2027. (იხ. დანართი 12).

პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ კომპლექსური ბიზნეს სამყაროს და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა და აღჭურვილი იქნებიან სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი და ზოგადად ორგანიზაციების პროცესების მართვისთვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების უნარებით.

ასევე, პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტს განუვითაროს საჰაერო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვის საკითხების კრიტიკული გააზრება; მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიტიკური აზროვნების, სანდო და სათანადო დასკვნების გაკეთების უნარების გამომუშავება; ორგანიზაციის მართვის პროცესში შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლას, როგორც საავიაციო ისე სხვა, კერძო და საჯარო სექტორში. ამასთანავე, პროგრამის მიზანია ქართულ და ინგლისურ ენებზე ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარების გამომუშავება.

შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები აღწერს თუ რა ცოდნისა და უნარების გამომუშავებისკენაა მიმართული პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლადაა ფორმულირებული, რეალისტური და მიღწევადია.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომლის თანახმადაც უსდ მიმართულია მოამზადოს კვალიფიციური კურსდამთავრებულები და ხელი შეუწყოს მათი პიროვნული თვისებების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ ჩამოყალიბდნენ დარგის პროფესიონალებად, ამასთან უსდ-ს მისიაა საზოგადოებას შესთავაზოს საავიაციო სფეროში მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი და პროფესიული განათლება – საფრენოსნო მომზადების, საავიაციო ინჟინერიისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელებულია ბაზრის კვლევა, ასევე, განხორციელებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეხვედრის ოქმები იძლევა ინფორმაციას შეხვედრის მონაწილეებისა და მათი მხრიდან დაფიქსირებული შემოთავაზებების და რეკომენდაციების შესახებ. ამასთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს ფარგლებში დადასტურდა მათი ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. დამსაქმებლების მხრიდან მოყვანილი იქნა კონკრეტული მაგალითები რჩევების და რეკომენდაციების შესახებ. შესაბამისად, პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის და შესაბამისად, დარგის განვითარების მოთხოვნებს.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ფორმულირებისას გათვალისწინებულია, როგორც შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, ასევე საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, ევროპული და ამერიკული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი პროგრამების შინაარსი: Embry-Riddle Aeronautical University (აშშ) საბაკალავრო საავიაციო ბიზნესის ადმინისტრირება, Worms University (გერმანია), საბაკალავრო პროგრამა ავიაციის მენეჯმენტი. შეგვიძლია დავასკვნათ რომ პროგრამას შეუძლია მოამზადოს ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ გარკვეული წვლილი შეიტანონ როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, საჯარო და ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://ssu.edu.ge/>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: მისია, ხედვა და

<p>ღირებულებები; https://ssu.edu.ge/about-us/mission/</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სტრატეგიული განვითარების გეგმა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აღწერს პროგრამის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს: ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამით აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომლის მეშვეობითაც ხდება აღნიშნული შესაბამისობის დემონსტრირება, კერძოდ, პროგრამის მიზანი: „მომზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრები, რომლებსაც: ექნებათ ფართო თეორიული ცოდნა კომპლექსური ბიზნეს სამყაროს და საჰაერო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვების შესახებ; მმართველობითი ტექნიკის გამოყენებით შეეძლება მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და აღჭურვილი სამოქალაქო ავიაციის დარგში მოქმედი და ზოგადად ორგანიზაციების</p>
--

პროცესების მართვისათვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების უნარებით“ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს: 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3;

მიზანი, უზრუნველყოს: საჰაერო ტრანსპორტით მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვის საკითხების კრიტიკული გააზრება; მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიტიკური აზროვნების, სანდო და სათანადო დასკვნების გაკეთების უნარების გამომუშავება; ქართულ და ინგლისურ ენებზე ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის წარმოება“- სწავლის შედეგებს 1.3, 2.4, 2.5;

ხოლო პროგრამის საბოლოო მიზანი განუვითაროს, ორგანიზაციის მართვის პროცესში გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლას, როგორც საავიაციო ისე სხვა, კერძო და საჯარო სექტორში“ შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან 1.2, 3.1, 3.2.

პროგრამით აღწერილი სწავლის შედეგები რეალისტურია და მიღწევადი, შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და თავად მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში).

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ასევე შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომლიც მეშვეობითაც ხდება დემონსტრირება პროგრამის რომელი კომპონენტით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი.

სწავლის შედეგების რუკა ასევე განსაზღვრავს რა დონით (გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება) უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტი კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგების რუკის ფარგლებში პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებისა და პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების შესაბამისობა ლოგიკურადაა განსაზღვრული, თუმცა ვთვლით, რომ დასაზუსტებელია რამდენად უზრუნველყოფს კონკრეტული სასწავლო კომპონენტ(ებ)ი შესაბამის სწავლის შედეგების სრულად მიღწევას:

2.1 „აფასებს სამოქალაქო ავიაციის და სხვა კომპანიების, როგორც მთლიანი სტრატეგიის (მისია, მიზნები, დაგეგმვა, განხორციელება და კონტროლი), ასევე მარკეტინგული სტრატეგიისა და მარკეტინგული კომპლექსის ელემენტებს, ბიზნესის შიდა და გარე გარემოს ანალიზის საფუძველზე“, 2.3 „აფასებს მწარმოებლურობას სამოქალაქო ავიაციისა და ზოგადად ორგანიზაციების კონტექსტში ოპერაციების სისტემის შეფასების, პროდუქტის შემუშავების დაგეგმვის, შესყიდვების, წარმოების პროცესის და კომპანიის ბიზნესის სტრატეგიების გათვალისწინებით“; 2.4 „გეგმავს პროექტის განსახორციელებელი აქტივობების ბიუჯეტს, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური ანგარიშგებების და სხვა მაჩვენებლების შეფასების გზით“ (დეტალებისთვის იხ. სტანდარტის 2.2 და 2.3 აღწერა).

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელებულია ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნისა და უნარების იდენტიფიცირება, მაგალითად როგორცაა, ინგლისური ენის ცოდნა, საჰაერო მგზავრისა/ტვირთის გადაზიდვის და სააეროპორტო მომსახურების (ground handling) სპეციფიკის ცოდნა, პროექტების მართვის გამოცდილება, საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა, კომუნიკაბელურობა, ანალიტიკური აზროვნება, დეტალებზე ორიენტირებულობა, მგზავრისა და ბარგის გადაყვანა/გადაზიდვანის სამართლებრივი ასპექტები, საავიაციო უშიშროება (გაცნობითი კურსი), სახიფათო ტვირთები, რამპის მომსახურება და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე განხორციელებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრები, ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დამსაქმებლები პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები. აღნიშნული პროცესის მსვლელობისას ისინი გასცემდნენ რეკომენდაციებს და იღებდნენ უკუკავშირს. დაწესებულებისა და თავად დამსაქმებლების თანახმად პროგრამის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულია მათი შემოთავაზებები და რეკომენდაციები, მაგალითად როგორცაა პროგრამის გამდიდრება საავიაციო სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კურსებით და სიტუაციების ანალიზით პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით. ინტერვიუებმა აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან დაადასტურა პროგრამის შემუშავების პროცესში მათი ჩართულობა.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. განსაზღვრულია აკადემიური მოსწრების ანალიზის გამოყენებით სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს სფეროს სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა; მექანიზმის გამოყენება და შეფასებების განხორციელება, კერძოდ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. დასტურდება სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, კერძოდ შემუშავებულია

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა, რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მათ მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის შედეგების გაანალიზების საფუძველზეც დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. სტუდენტებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი მიღწევებთან დაკავშირებით იღებენ უკუკავშირს. აგრეთვე, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის შემდგომი მოდიფიცირებისთვის. მაგალითად, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ისეთი უნარების საჭიროება, როგორიცაა Excel-ში მუშაობა, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, საჭაერო კანონმდებლობა, ადამიანური ფაქტორი ავიაციაში, აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართვა, საავიაციო უსაფრთხოება და რისკები, მგზავრებისა და ბარგის მომსახურება, სატვირთო ავიაცია და ლოგისტიკის საკითხები, რაც ასახული იქნა პროგრამის განახლებულ სტრუქტურაში შესაბამისი სასწავლო კომპონენტების სახით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საჭაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
 - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
 - შრომის ბაზრის კვლევა;
 - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
 - სწავლის შედეგების რუკა;
 - კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
 - დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მქონე პირს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ბარდება შემდეგი სასწავლო საგნები:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- უცხოური ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული);

- მათემატიკა ან ისტორია;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია გამჭირვალეა და ხელმისაწვდომია. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ აბიტურიენტებისათვის ცნობარში.

ამასთან, როგორც მიღებს წინაპირობებიდან ჩანს პროგრამაზე შესაძლებელია დაშვებული იქნეს პირი რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენის ნაწილში ჩააბარებს მაგალითად, გერმანულ, რუსულ ან ფრანგულ ენებს. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა დაწესებულებასთან ვიზიტის ფარგლებში და დაზუსტა რომ „ეროვნული სასწავლო გეგმის“ შესაბამისად ნებისმიერი სკოლა ვალდებულია მოსწავლეს სავალდებულო წესით პირველი კლასიდან დააწყებინოს ინგლისური ენის სწავლება, შესაბამისად საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ პირველუცხოურ ენაში (ინგლისური ენა) B1.4 დონის მიღწევა, რაც თავის მხრივ შესაბამისობაშია პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრულ ენების სწავლების დონეების რანჟირებასთან (B1.1, B1.2, . B2.1 და B2.2). მიუხედავად იმისა, რომ არც სტუდენტების და არც დაწესებულების მხრიდან არ დაფიქსირებულა რაიმე ტიპის შეფერხება პროგრამაზე მიღებისას უცხო ენების ცოდნის ნაწილში, ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე მოხვდება პირი რომელსაც არ აქვს სკოლაში ნასწავლი ინგლისური ენა (მაგალითად უცხო ქვეყნის მოქალაქე) დაწესებულებამ უმჯობესია გააქტიუროს ინგლისური ენის შემსწავლელი დამხმარე კურსები, რომელიც დაწესებულების განმარტებით ფუნქციონირებდა უნივერსიტეტში და გამოიყენოს ე.წ. ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების მექანიზმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სწავლის შედეგების რუკა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს ინგლისური ენის შემსწავლელი

დამხმარე კურსები და გამოიყენოს ე.წ. ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტირების მექანიზმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
<p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საავიაციო უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები. აღნიშნული წესის შესაბამისად უნივერსიტეტში დაიგეგმა და აკრედიტაციისათვის გადამუშავებული იქნა საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა. არსებული წესის შესაბამისად პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დაწესებულების მიერ ჩატარებული იქნა ასევე შრომის ბაზრის კვლევა.</p> <p>საჰაერო ტრანსპორტი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია 240 კრედიტის მოცულობით და გადანაწილებულია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 170 კრედიტი; • ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი; • თავისუფალი სავალდებულო კომპონენტები - 24 კრედიტი;

- თავისუფალი არჩევითი კომპონენტები - 16 კრედიტი.

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის, შესაბამისად პროგრამის სტრუქტურაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები წარმოდგენილია **170 კრედიტის** მოცულობით, სადაც ძირითადი აქცენტები გაკეთებული როგორც მენეჯმენტის, ისე მარკეტინგის და ფინანსების ინსტრუმენტალური მოდულების ათვისებაზე. სავალდებულო სასწავლო კურსებში წარმოდგენილია საჭაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის შესახებ სასწავლო კურსები რაც შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს შეიძინოს ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტის, მათ შორის საავიაციო ტრანსპორტის მენეჯმენტის პროცესების შესახებ. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი (**17 კრედიტი**) სამოქალაქო საჭაერო ტრანსპორტის ორგანიზაციებში, სადაც ხდება პროგრამის სწავლის შედეგები განმტკიცება. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (**30 კრედიტი**), სადაც პროგრამის სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს როგორც ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტის, ისე საჭაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის მიმართულებით სასწავლო კურსები და დაიკმაყოფილოს თავისი პროფესიული ინტერესი. პროგრამის თავისუფალი სავალდებულო კომპონენტების მოდული (**24 კრედიტი**) წარმოდგენილია ზოგადი (12 კრედიტი) და პროფესიული ინგლისურის ენის (12 კრედიტი) შემსწავლელი სასწავლო კურსებით. პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ასევე თავისუფალი სასწავლო კომპონენტები აირჩიონ **16 კრედიტის** მოცულობით. საჭაერო ტრანსპორტი მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს და ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ამასთან, პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული რეკომენდაციები და რჩევები, კერძოდ:

- გამომდინარე იქედან, რომ პროგრამა კურსდამთავრებულს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში აკადემიურ ხარისხს, პროგრამის სტრუქტურაში ფინანსების მოდულს რეკომენდებულია სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დაემატოს კორპორაციული ფინანსების საფუძვლების კურსი, რომელიც პროგრამაში წარმოდგენილია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსის სახით. შესაბამისად, საჭირო იქნება მისი სტატუსის კორექტირება. აღნიშნული ცვლილებით, სრულყოფილად გადაიფარება ბიზნესის ადმინისტრირების კონტექსტში საჭირო ფინანსების ნაწილი, კერძოდ ისეთი საკითხები, როგორიცაა

კორპორაციის ფინანსების ორგანიზაციის და მართვის თავისებურებები; კორპორაციის ფინანსური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდები; კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპები, ფინანსური გეგმის შინაარსი და ფულადი ნაკადების მოძრაობის სპეციფიკა; კორპორაციის კაპიტალის ფორმირების პრინციპები; კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი; წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდის გამოყენებით საინვესტიციო გადაწყვეტილების შეფასება; მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმვის განხორციელება; ობლიგაციებისა და აქციების ფასების განსაზღვრისა და შემოსავლიანობის მოდელების შექმნა და პრაქტიკული გამოყენება და ა.შ.

- ვინაიდან პროგრამა ორიენტირებულია საავიაციო ტრანსპორტის მენეჯმენტის საკითხებზე და დასაქმების სფეროებიც ძირითადად ორიენტირებულია საავიაციო სფეროს ორგანიზაციებზე (მათ შორისაა ავიაკომპანიები, აეროპორტები, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, საავიაციო სატვირთო ტერმინალები, საავიაციო ქარხნები, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების საწარმოები და სხვა.) რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
- სასურველია ასევე პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები როგორცაა: „ავიაცია და გარემო“ და B2B მარკეტინგი. აღნიშნული კურსები პროგრამაში წარმოდგენილია არჩევითი კურსების სახით, თუმცა მათი სავალდებულო კურსების სახით ტრანსფორმაცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

ამასთან, ზემოთაღნიშნული რეკომენდაციების საჭიროების გათვალისწინებით დაწესებულებას შეუძლია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში საჭირო ცვლილებებისათვის გამოათავისუფლოს გარკვეული კრედიტები, კერძოდ სასურველია სასწავლო კურსი ექსპორტის მენეჯმენტი გადატანილი იქნეს არჩევით სასწავლო კურსების მოდულში, ხოლო სასწავლო კურსები ინფორმაციული ტექნოლოგიები 1 და ინფორმაციული ტექნოლოგიები 2 ჩამოყალიბდეს ერთი სასწავლო კურსის სახით, რაც ცხადია სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გამოათავისუფლებს გარკვეულ კრედიტების მოცულობასაც.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ლოგიკურად არის წარმოდგენილი, სტრუქტურირებული სახით და დაცულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, თუმცა არსებულ საკითხთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს გააჩნია კონკრეტული რეკომენდაციები და

რჩევები, კერძოდ

- ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტდეს მათზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად: პროექტების მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, ექსპორტის მენეჯმენტის, საინოვაციო მენეჯმენტის სასწავლო კურსების წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსი. კორპორაციული ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვის კურსი; საგადასახადო საქმის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების კურსი; ინვესტიციების საფუძვლების წინაპირობად მიეთითოს კორპორაციული ფინანსების საფუძვლების სასწავლო კურსი;
- ასევე, სასურველია სასწავლო კურსებს ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, საერთაშორისო ფინანსების საფუძვლები და ფინანსური რისკების მართვა მოეხსნას წინაპირობად ფინანსების საფუძვლების (ასეთი კურსი პროგრამაში არ გვხვდება) და ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსები და შესაბამისად მიეთითოს: ეკონომიკის პრინციპები 2 და სტატისტიკა ბიზნესისათვის, ხოლო საჰაერო კანონმდებლობის სასწავლო კურსის წინაპირობას განისაზღვროს ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების სასწავლო კურსი;
- რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (აღნიშნული კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება) განისაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის დადგომამდე არსებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა. არსებული მოცემულობით პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობა წარმოდგენილია მხოლოდ 6 სასწავლო კურსით, თუმცა პროგრამის სტრუქტურით სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გათვალისწინებულია 33 სასწავლო კურსი. ამასთან, ცხადია აღნიშნული კურსები ყველა მონაწილეობს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებაში გაცნობის ან გაღრმავების დონეზე.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის საჯაროობა, იგი განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების რუკა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- <https://ssu.edu.ge/> - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კორპორაციული ფინანსების საფუძვლების სასწავლო კურსი, გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
- რეკომენდებულია პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსი „ხარისხის და უსაფრთხოების მართვის სისტემები ავიაციაში“ გახდეს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი;
- ზოგიერთი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია დაკორექტდეს მათზე დაშვების წინაპირობები, მაგალითად: პროექტების მართვის, ადამიანური რესურსების მართვის, ექსპორტის მენეჯმენტის, საინოვაციო მენეჯმენტის სასწავლო კურსების წინაპირობად განისაზღვროს მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსი. კორპორაციული ფინანსების საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვის კურსი; საგადასახადო საქმის საფუძვლების წინაპირობად განისაზღვროს ბიზნესის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების კურსი; ინვესტიციების საფუძვლების წინაპირობად მიეთითოს კორპორაციული ფინანსების საფუძვლების სასწავლო კურსი;
- რეკომენდებულია საწარმოო პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობად პრაქტიკის კომპონენტის მნიშვნელობიდან გამომდინარე (აღნიშნული კომპონენტით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება) განისაზღვროს პრაქტიკის კომპონენტის დადგომამდე არსებული პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსების გავლა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ასევე პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები როგორცაა: „ავიაცია და გარემო“ და B2B მარკეტინგი. აღნიშნული კურსები პროგრამაში წარმოდგენილია არჩევითი კურსების სახით, თუმცა მათი სავალდებულო კურსების სახით ტრანსფორმაცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

- სასურველია სასწავლო კურსი ექსპორტის მენეჯმენტი გადატანილი იქნეს არჩევით სასწავლო კურსების მოდულში, ხოლო სასწავლო კურსები ინფორმაციული ტექნოლოგიები 1 და ინფორმაციული ტექნოლოგიები 2 ჩამოყალიბდეს ერთი სასწავლო კურსის სახით, რაც ცხადია სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გამოათავისუფლებს გარკვეულ კრედიტების მოცულობასაც;
- სასურველია სასწავლო კურსებს ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები, საერთაშორისო ფინანსების საფუძვლები და ფინანსური რისკების მართვა მოეხსნას წინაპირობად ფინანსების საფუძვლების (ასეთი კურსი პროგრამაში არ გვხვდება) და ფინანსური აღრიცხვის სასწავლო კურსები და შესაბამისად მიეთითოს: ეკონომიკის პრინციპები 2 და სტატისტიკა ბიზნესისათვის, ხოლო საჰაერო კანონმდებლობის სასწავლო კურსის წინაპირობას განისაზღვროს ბიზნესის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების სასწავლო კურსი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ფორმირდება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ლოგიკური ჩართულობით. პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა,

სადაც გამოკვეთილია თუ როგორ მონაწილეობს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ცალკეული სასწავლო კურსი წარმოდგენილია სილაბუსის სახით, სადაც გაწერილია კურსის ფარგლებში მისაღწევი დაგეგმილი სწავლის შედეგები. შესაბამისად პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სწავლის შედეგები შინაარსობრივად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან, თუმცა რიგ შემთხვევებში რეკომენდებულია მათი დახვეწა, მაგალითად დასახვეწია აკადემიური წერის საფუძვლების, მენეჯმენტის საფუძვლების, ავიაციის საფუძვლების, ავიაბიზნესის საფუძვლების, მარკეტინგის საფუძვლების, მმართველობითი აღრიცხვის, საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკის სწავლის შედეგების ფორმულირებები, რათა მოხდეს მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდა.

პროგრამის სასწავლო კურსები წარმოდგენილია 3, 4 და 5 კრედიტიანი სასწავლო კურსების სახით, რაც ლოგიკურია, შეესაბამება ცალკეული კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და ითვალისწინებს ცოდნის მიწოდებას ლექციების ფორმატით და მიწოდებული ცოდნის ყოველკვირეულ შემოწმებას პრაქტიკული და სემინარული სამუშაოების მეშვეობით. ამასთან, ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში გვხვდება ჩანაწერი კონსულტაციის დროის და ადგილის შესახებ „ყოველი შეხვედრის შემდეგ 1 საათი“, რასაც როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა იყენებენ საჭიროების მიხედვით.

გარდა ამისა, ცალკეული სასწავლო კურსის სახელწოდებასთან მიმართებით გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები, მაგალითად, რეკომენდებულია სასწავლო კურსის სახელწოდება „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“, ასევე, სასწავლო კურსის „ავიაკომპანიის ოპერაციები“ სახელწოდება კურსის შინაარსის გათვალისწინებით უმჯობესია დაკორექტირდეს, როგორც ავიაკომპანიის ოპერირება ან ექსპლუატაცია. გარდა ამისა სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდება „მგზავრების და ბარგის ჰენდლინგი“ დაკორექტირდეს სასწავლო გეგმაში მოყვანილ სახელწოდებასთან „მგზავრების და ბარგის მომსახურება“.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში მაქსიმალურად არის გამოყენებული თანამედროვე ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა, თუმცა მიგვაჩნია, რომ გასაახლებელია ცალკეული სასწავლო კურსების ლიტერატურა, მაგალითად, რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად, სტენლი ი. პორტნი, (For Dummies) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური

აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: ადამიანური რესურსების მართვა, აკადემიური წერის საფუძვლები, ბიზნესის ეთიკა, საერთაშორისო ბიზნესი, მეწარმეობა, აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და მართვა, საჰაერო კანონმდებლობა, საავიაციო ტექნიკის საფუძვლები. აღნიშნული სასწავლო კურსებში ქართულ ენაზე იმეზნება უახლესი გამოცემები, ხოლო იმ კურსებში სადაც არ არსებობს ქართულენოვანი თანამედროვე ლიტერატურა დაწესებულებამ აქტიურად უნდა გააგრძელოს მუშაობა ელექტრონული სალექციო კურსების შექმნაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- <https://ssu.edu.ge/> - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (აკადემიური წერის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ავიაციის საფუძვლები, ავიაბიზნესის საფუძვლები, მარკეტინგის საფუძვლები, მმართველობითი აღრიცხვა, საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ეკონომიკა“ სწავლის შედეგების ფორმულირებების დახვეწა, რათა მოხდეს მათი გაზომვადობის ხარისხის გაზრდა;
- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის სახელწოდების კორექტირება, მაგალითად სასწავლო კურსის „საავიაციო უსაფრთხოება და რისკების მართვა“ სახელწოდება დაკორექტირდეს როგორც „საავიაციო უშიშროება და რისკების მართვა“.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ გამოყენებული სავალდებულო სასწავლო ლიტერატურა „პროექტის მართვა მარტივად, სტენლი ი. პორტნი, (For Dummies) მე-3 გამოშვება. გამომცემლობა პალიტრა L, 2016“ ჩანაცვლდეს თანამედროვე პროფილური აკადემიური ლიტერატურით. გარდა ამისა, გასაახლებელია შემდეგი სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა: ადამიანური რესურსების მართვა, აკადემიური წერის საფუძვლები, ბიზნესის ეთიკა, საერთაშორისო ბიზნესი, მეწარმეობა, აეროპორტის სისტემების დაგეგმვა და

მართვა, საჭირო კანონმდებლობა, საავიაციო ტექნიკის საფუძვლები.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში სახელწოდება „მგზავრების და ბარგის ჰენდლინგი“ დაკორექტირდეს სასწავლო გეგმაში მოყვანილ სახელწოდების „მგზავრების და ბარგის მომსახურება“ შესაბამისად; ○ სასურველია სასწავლო კურსის „ავიაკომპანიის ოპერაციები“ სახელწოდება კურსის შინაარსის გათვალისწინებით უმჯობესია დაკორექტირდეს, როგორც ავიაკომპანიის ოპერირება ან ექსპლუატაცია;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტში წახალისებულია სხვადასხვა აქტივობები/ღონისძიებები სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ როგორც უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ ყოველწლიურ კონფერენციებში, ისე პარტნიორი უნივერსიტეტების, რიგის ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების ინსტიტუტის (ლატვია), ვილნიუსის გედამინასის ტექნიკური უნივერსიტეტის (ლიეტუვა) მიერ ორგანიზებულ ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში.</p> <p>პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის</p>

სწავლის შედეგების შესაბამისად; პრაქტიკა გათვალისწინებულია VIII სემესტრში და მას ეთმობა 17 კრედიტი. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები (საქართველოს აეროპორტების გაერთიანება; საავიაციო სატვირთო ტერმინალი „ლასარე“, ავიაკომპანია „ჯეო სქაი“, ტავ ურბან ჯორჯია და სხვები) რომლებიც ამავდროულად არიან პოტენციური დამსაქმებლები. მათთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორივე მხარის ინტერესების დაცვით, თუმცა რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისი“ -ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე 240 დასაქმებული ადამიანიდან 97 საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტი და კურსდამთავრებულია, ხოლო ავიაკომპანია „ჯეო სქაიში“ დასაქმებულია ამავე უნივერსიტეტიდან 84 ადამიანი, ხოლო მიმდინარე პროგრამის 17 სტუდენტი გადის პრაქტიკას ამ ეტაპზე.

კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ ამჟამად მუშაობენ იმ დამსაქმებლებთან, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული უნივერსიტეტს.

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, დამსაქმებლების მხრიდან მზაობა სტუდენტის სწავლის დაფინანსება. ტავ ჯორჯია ყოველწლიურად აფინანსებს მაღალი მოსწრების მქონე სტუდენტის ერთი წლის საფასურს, ხოლო ავიაკომპანია „ჯეო სქაი“ -ს გამოყოფილი აქვს მაღალი მოსწრების მქონე 6 სტუდენტისთვის 1 წლის განმავლობაში წლიურად თითოეულზე 1200 ლარი. ასევე, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ გამოცდებზე მოიპოვეს დაფინანსება, დარჩენილ სწავლის საფასურს უნივერსიტეტი უფინანსებს სტუდენტს. სტუდენტს დაფინანსების შენარჩუნებისთვის, სემესტრით გათვალისწინებულ საგნებში უნდა ჰქონდეს არანაკლებ 90 ქულა.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ისაუბრეს, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც პროფესორთა კვლევების ინტერესს წარმოადგენენ. ასევე ჩართულნი არიან საერთაშორისო კონფერენციებში და პროექტებში. უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში; სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში, ჯგუფური პროექტების დამუშავება და პრეზენტაციები ხელს უწყობს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას. გარდა ამისა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პლაგიატის შემოწმების პროცედურები, თუმცა სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო

გაძლიეროს ძალისხმევა სტუდენტებში პლაგიატის შემოწმების პროცედურების შესახებ. სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო აქტიურად არის ჩართული დამსაქმებლებთან ღია ლექციებისთვის სპიკერის შერჩევასა და დაგეგმვაში. ასევე სტუდენტებთან აქვს მუდმივი კომუნიკაცია და გამოკითხვა მათი ინტერესებისა და საჭიროებების გასათვალისწინებლად სამომავლოდ რაც სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმაც დაადასტურეს ინტერვიუს პროცესში.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის გაუმჯობესებისთვის ინტერნაციონალიზაციის გააქტიურება იქნება აუცილებელი, მაგალითად, როგორცაა Erasmus+ - ის გაცვლითი პროგრამა. ინტერვიუს დროს, საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწყებულია აქტიური მოლაპარაკებები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან ამ მიმართულებით და თანამშრომლობის ფარგლებში, პოლონეთში არსებული „სილეზიის ტექნიკური უნივერსიტეტი“ აცხადებს 2 აკადემიური პერსონალის და 2 სტუდენტის ადგილს, სადაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება Erasmus+ - ის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანგარიშები;
- მემორანდუმები დამსაქმებლებთან;
- მემორანდუმები უნივერსიტეტებთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://ssu.edu.ge/>;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პრაქტიკის პირობით ხელშეკრულებაში აისახოს პრაქტიკანტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გააქტიუროს ინტერნაციონალიზაციის პროცესები და უზრუნველყოს მასში მეტი სტუდენტის მონაწილეობა;
- სასურველია უნივერსიტეტმა კიდევ უფრო გაძლიეროს ძალისხმევა სტუდენტებში პლაგიატის შემოწმების პროცედურების შესახებ.

საკუთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- დამსაქმებლების მხრიდან ხორციელდება სტუდენტების წახალისება სტიპენდიების სახით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხდება სწავლის საფასურის დაფინანსება;
- უნივერსიტეტის მხრიდან აქტიურად ხორციელდება სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტებისათვის ფინანსური მხარდაჭერა სწავლის საფასურის დაფინანსების სახით;
- პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან იმ კომპანიებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები;

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია ის კონკრეტული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურსის სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისობაში არიან კურსის შინაარსთან და სწავლების საფეხურთან. სასწავლო კურსებში გამოიყენება შეფასების ისეთი მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც აფასებს სწავლის თითოეულ შედეგს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ლექცია,

სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ხოლო ამ მეთოდების ფარგლებში გამოიყენება ისეთი აქტივობები როგორცაა: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (case study), ქვიზები/ტესტები, პროექტების პრეზენტაცია, კითხვარები, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, კონსულტაცია, ელექტრონული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვ

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ორიენტირებულია სტუდენტზე, საჭიროების შემთხვევაში კი გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა, რისთვისაც უნივერსიტეტში შემუშავებულია და ფუნქციონირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და დეტალურად არის გაწერილი პროცედურები.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
 - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
 - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანგარიშები;
 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
 - უნივერსიტეტის ვებგვერდი: <https://ssu.edu.ge/>;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით.

გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საკაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსში განსაზღვრულია შეფასების სისტემა, ასევე ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა <http://students.av.ini.ge/>, რომლის საშუალებით სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია სილაბუსები და სწავლის დაწყებამდე აქვს ინფორმაცია შეფასების ძირითადი მეთოდების, ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ. სტუდენტის შეფასება არის გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აპელაციის შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას, თუმცა სამართლიანად იწერება ქულები და შესაბამისად არ გამოუყენებიათ.

საკაერო პროგრამაში სტუდენტის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი რექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. დადგენილია ზოგადი წესი თითოეული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ადეკვატური შეფასებისათვის; განსაზღვრულია ერთიანი სისტემური სტრუქტურა შუალედური და დასკვნითი შეფასებისათვის, ამავე დროს, გათვალისწინებულია დისციპლინის სპეციფიკა. შეფასების კომპონენტი შეიძლება იყოს ტესტი, ღია ტესტი, ამოცანის ამოხსნა, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, შემთხვევის ანალიზი და სხვ. ამასთან, სასურველია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდეს გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია.

აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა students.av.ini.ge საშუალებას აძლევს სტუდენტს, წინასწარ გაეცნოს სილაბუსს, მიიღოს ინფორმაცია შეფასების კომპონენტების/მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ, ამავე დროს, პირველ მეცადინეობაზე ლექტორი მიმოხილავს სილაბუსს და განმარტავს სწავლება-სწავლისა და შეფასების ცალკეულ მეთოდს. შეფასების სისტემა ორ ფორმად იყოფა - შუალედური და დასკვნითი შეფასება. მათი შედეგების ჯამით მიიღება საბოლოო/შემაჯამებელი შეფასება, რომლის მინიმალური ზღვარია 51% - მაქსიმალური კი 100%. საბოლოო გამოცდაზე სტუდენტის დაშვება ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს დასკვნითი გამოცდა ეთვლება ჩაბარებულად, თუ მან მიიღო დასკვნითი გამოცდის შეფასების 51% ან მეტი.

სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ფლობენ ინფორმაციას, თუ სტუდენტი თვლის, რომ მისი ცოდნა ამა თუ იმ დისციპლინის ფარგლებში ობიექტურად არ შეფასდა, ან მიაჩნია,

რომ არსებობს ობიექტური ფაქტორი, რომელმაც განაპირობა უარყოფითი შეფასება, მას შეუძლია, დადგინდეს ვადაში, დასაბუთებული განცხადებით მიმართოს დეკანს. საჩივარს განიხილავს დეკანის მიერ შექმნილი დროებითი კომისია, რომელიც ითვალისწინებს შემფასებლის აკადემიური თავისუფლებისა და შეფასების თავისუფალი სივრცის უზრუნველყოფის პრინციპებს. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ხმათა უბრალო უმრავლესობით. დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც გააუარესებს სტუდენტის შეფასებას. სტუდენტების თქმით, მხოლოდ ერთი შემთხვევა ახსენდება რომელიც გამოყენებული ლიტერატურის გამო დაფიქსირდა პლაგიატის მაღალი მაჩვენებელი და მათ გაასაჩივრეს აკადემიური წერის ქულა. სხვა შემთხვევებს ვერ იხსენებენ, რადგან მათი თქმით სამართლიანად იწერება ქულები ლექტორების მხრიდან.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
 - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
 - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანგარიში;
 - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
 - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესი;
 - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: <http://av.ini.ge/#/students>
 - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ გვერდი: <https://ssu.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით განხორციელდეს გამოყენებული შეფასების მეთოდების მეტი დივერსიფიკაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საკონსულტაციო მომსახურებისა და, ზოგადად, სტუდენტთა საინფორმაციო მხარდაჭერისათვის, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სტუდენტური სერვისის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, როგორც სასწავლო პროცესის მართვისა და თვითკონტროლის მექანიზმის მოქმედებას, ისე კარიერული და პროფესიული განვითარებისათვის მხარდაჭერას. კერძოდ: ყველა სასწავლო კურსის მიხედვით დაგეგმილია კონსულტაციები კურსის წამყვანი ლექტორების მონაწილეობით; ყოველწლიურად ტარდება მცირე სემინარები საბიბლიოთეკო რესურსის, მათ შორის, ელექტრონული ბაზების გამოყენების საკითხებზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიური და სამეცნიერო აქტივობის ეფექტიანობის გაძლიერებას. მატერიალურ-</p>

<p>ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას, Avi.ini.ge-ის გვერდზე თვალნათლივ ჩანს ელექტრონული ბაზების გამოყენებისა და ყველა ის ინსტრუქცია, რაც შეიძლება სტუდენტს დასჭირდეს Online სწავლების პროცესში.</p> <p>ასევე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში, ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით, რის შესახებაც ისინი ინფორმირებულნი არიან ვებგვერდისა და დეკანატის მიერ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, აგრეთვე სოციალური ქსელის საშუალებით.</p> <p>სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი არ ფლობენ სრულ ინფორმაციას ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტებთან ამ მიმართულებით მუშაობა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანგარიში; ○ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი; ○ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის გზამკვლევი; ○ ელექტრონული პორტალით სარგებლობის ინსტრუქცია; ○ სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერი მექანიზმები ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: http://av.ini.ge/#/students ○ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://ssu.edu.ge/
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია უნივერსიტეტმა გააძლიეროს სტუდენტებთან მუშაობა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომასთან დაკავშირულ საკითხებზე.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ შეფასებულა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საკაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 44 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან 16 არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (5 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი) აქედან აფილირებულია 9 აკადემიური პერსონალი (3 პროფესორი, 5 ასოცირებული და 1 ასისტენტი). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ასევე 28 მოწვეული დარგის სპეციალისტი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი დასაქმებულია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შერჩევის პრინციპებს, პროცედურებსა და ვადებს. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა არის 16/28-თან (აღნიშნული თანაფარდობა დაზუსტდა ვიზიტის პროცესში). მასთან, აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის თანახმადაც „აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სტუდენტთა რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, სხვა უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის განსაზღვრის საკითხში“, გამომდინარე აქედან პროგრამაზე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობით 44/298, რაც უნივერსიტეტის შიდა რეგულაციით ადექვატურია, თუმცა მიგვაჩნია რომ დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის რაოდენობას შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად, რაც შეუწყობს ხელს პროგრამის მდგრადობის ამაღლებას. ამასთან ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი დადებითია და წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობით 13 მიღება / 10 წასვლა.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთაც გააჩნიათ სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული აკადემიური აქტივობებით. დაწესებულებას გაწერილი აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველსემესტრული დატვირთვის სქემა, რომელშიც ასახულია მათი ჯამური დატვირთვა, კონკრეტული სემესტრის მიხედვით, რაც ექვემდებარება განახლება ყოველი სემესტრის მიხედვით.

პროგრამას ყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც ჩართულია პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროგრამის განხორციელებას ემსახურება ასევე კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი, რომელთა მიმართ გაკეთებულია დადებითი შეფასებები სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევაში. უნივერსიტეტში გაწერილია პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანგარიში;
- აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი;
- აკადემიური დატვირთვის წესი;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

<ul style="list-style-type: none"> ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; ○ ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია დაწესებულებამ გააგრძელოს მუშაობა აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდის მიზნით;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „პერსონალის მართვის პოლიტიკით“ (დამტკიცებულია 06.03.2020წ.) განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია და მიდგომები (მუხლი 4.), რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების ეფექტური სისტემის დანერგვა. პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით 2021-2027, ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, სტრატეგიულ ამოცანად დასახულია პერსონალის პროფესიული განვითარება,</p>

პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების, თანამშრომელთა მომზადება/გადამზადების გეგმების შესრულებისა და პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის გაზრდის გზით.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების პროცედურა, რომელიც ემსახურება შედეგების გათვალისწინებით სათანადო ღონისძიებების დასახვისა და გატარების მიზანს. უსდ-ს 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პერსონალის საქმიანობის შეფასება, შედეგების შეჯამება, საჭირო ტრენინგების იდენტიფიცირება, მათი განხორციელების მონიტორინგი, აგრეთვე, პერსონალის საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული მიზნის ფარგლებში დასახულია სასწავლო პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებების 2018-2020 წ. ნუსხა, რომელშიც აღწერილია პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა მნიშვნელობისა და დატვირთვის საერთაშორისო ტრენინგებში, კონფერენციებსა თუ კვლევით აქტივობებში. აღნიშნული ადასტურებს, პერსონალის განვითარებისა და ხელშეწყობის მიმართულებით უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული პოლიტიკის განხორციელებასა და მომავალი პროგრესისთვის მზაობას.

აღნიშნული პროცესების უზრუნველყოფაში ჩართულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მენეჯერი და უშუალოდ პერსონალი. უნივერსიტეტის დებულების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იქმნება უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, აგრეთვე, მისი პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის მუდმივი შეფასების მიზნით.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ან ხელშეწყობა სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვლევით ღონისძიებებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეტწილად აღნიშნული ეხება აკადემიურ პერსონალს, რითაც ხორციელდება ერთი მხრივ, აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა და მათი წახალისება, ხოლო მეორე მხრივ, მოწვეული პერსონალის დაინტერესება უნივერსიტეტთან სტაბილურ თანამშრომლობაზე.

უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე (ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; დანართი 12), წარმატების

<p>ინდიკატორად მოიაზრება გაცვლით პროგრამებში მონაწილე და პროგრამის განვითარებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, ხოლო ორგანიზაციის ორიენტირება ამ მაჩვენებლის ზრდაზე, დადებითად აისახება პერსონალის განვითარებაზე.</p> <p>აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული დარგის მოქმედი სპეციალისტები, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების კომპონენტის ამალვებას, ამასთან სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა პარტნიორი უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული პერსონალის შესაბამის სასწავლო კურსზე დასაქმების/მოწვევის პრაქტიკის განვითარების მიზნით, აგრეთვე, უზრუნველყოს პერიოდული მასტერკლასების/ვორქშოპების ორგანიზება დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანგარიში; ○ აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი; ○ აკადემიური დატვირთვის წესი; ○ პერსონალის მართვის პოლიტიკა; ○ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა პარტნიორი უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული პერსონალის შესაბამის სასწავლო კურსზე დასაქმების/მოწვევის პრაქტიკის განვითარების მიზნით, აგრეთვე, უზრუნველყოს პერიოდული მასტერკლასების/ვორქშოპების ორგანიზება დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზნების შესაბამისად, სწავლების შედეგების მისაღწევად საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი პროგრამას სრულად უზრუნველყოფს თეორიული სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკით გათვალისწინებული, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. თეორიული სწავლებისათვის განკუთვნილია უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და ინფრასტრუქტურა, რომელიც მდებარეობს ქეთევან წამებულის #16. უსდ-ს ტერიტორიასა და შენობებში დაცულია სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების ნორმები, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, აგრეთვე, სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, ადმინისტრაციული სივრცეები და დერეფნები აღჭურვილია სასწავლებლის საჭიროებების შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით. შენობებში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, უსდ-ს გააჩნია სათანადო მემორანდუმები/ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან. განხილული მემორანდუმების და ხელშეკრულებების და ვიზიტის ფარგლებში დამსაქმებლების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ საწარმოო პრაქტიკის გავლისათვის ნამდვილად არსებობს სათანადო პირობები და ხელშეწყობა, რაც ასევე დასტურდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებით.</p>

სასწავლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელშიც მოიპოვება სასწავლო ლიტერატურა ელექტრონული და ბეჭდური სახით. ბიბლიოთეკას მოეპოვება წიგნების ფონდის ელექტრონული მონაცემთა ბაზა, საძიებო საშუალებით, აგრეთვე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ელ. გვერდზე. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით, საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის ამაღლების ამოცანად მიჩნეულია წიგნადი ფონდის განახლება. უზრუნველყოფილია სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებსა თუ სამეცნიერო პლატფორმებზე წვდომა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები;
 - მემორანდუმები და ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
 - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://ssu.edu.ge>;
 - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ელექტრონული კატალოგი;
 - ელექტრონული ბაზები და რესურსები;
 - ინტერვიუები უსდ-ს პარტნიორი ორგანიზაციების/დამსაქმებლების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის, ბიუჯეტების პროცესის, ფინანსური მდგრადობის და შესყიდვების ორგანიზების მიზნით, შექმნილია ფინანსური სამსახური, რომელიც მოქმედებს დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, ახორციელებს უნივერსიტეტის საფინანსო პოლიტიკას, მისი საქმიანობის ფინანსური ანალიზის ჩატარებას და ფინანსურ დაგეგმვას. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირება ხორციელდება სტუდენტთა სწავლის საფასურის (სტუდენტების და სახელმწიფო გრანტით დაფარვით), სამეცნიერო კვლევითი გრანტის, ტრენინგებისა და სხვა შემოსავლების წყაროებით. საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პირდაპირი ხარჯების და ადმინისტრაციული და სხვა ზოგად საუნივერსიტეტო ხარჯების დაფინანსებისათვის საჭირო თანხები. პირდაპირი ხარჯებში ჩართულია ძირითადი და მოწვეული აკადემიური, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური წახალისების ხარჯები, აგრეთვე, სამეცნიერო კვლევებზე და პერსონალის განვითარებაზე გამოყოფილი დაფინანსების ხარჯი, ლაბორატორიებისა და ძირითადი საშუალებების შენახვის მიმდინარე ხარჯი, ბიბლიოთეკის, სარეკლამო თუ სტუდენტური ღონისძიებებისა და პროგრამის განვითარებაზე გაწეული ხარჯი. ადმინისტრაციული და სხვა ზოგად საუნივერსიტეტო ხარჯების მუხლი ითვალისწინებს უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციულ, საგადასახადო, სადაზღვევო და სხვა ვალდებულების დაფარვის ხარჯებს, რომლის ოდენობა პროპორციულია ფაკულტეტის წილისა უნივერსიტეტის შესაბამისი ხარჯის საერთო მოცულობაში. როგორც აღინიშნა, ბიუჯეტით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო განახლებული ლიტერატურის შეძენის ხარჯები, თუმცა მიზანშეწონილი იქნებოდა მისი ოდენობის გაზრდა სასწავლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის განახლების საჭიროებიდან გამომდინარე მასალის შეძენის უზრუნველსაყოფად.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დაგეგმვა განხორციელებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე გასულ წლებში ჩარიცხულ სტუდენტთა ფაქტობრივ მონაცემებზე

<p>დაყრდნობით, მობილობის მაჩვენებლის გათვალისწინებით, და არა გამოცხადებული ადგილების რაოდენობით, რაც ზრდის პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მდგრადობას.</p> <p>უსდ-ში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური-ანგარიშგების პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმართვის მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურის ქვედანაყოფი - აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, რომელიც საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ნორმების, უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად და მოქმედებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტი ასახავს და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს, გათვალისწინებული შემოსავლები და ხარჯების ნაწილი დაბალანსებულია და იძლევა პროგრამის ფინანსური მდგრადობის საფუძველს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; ○ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, თანამშრომლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია დაწესებულებამ სასწავლო პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის განახლების საჭიროებიდან გამომდინარე გაზარდოს საბიბლიოთეკო ხარჯები.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“-ის დოკუმენტისა და „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-ს საფუძველზე.

აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტი ჩართულნი არიან გაწეული

მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ ანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს, რაც დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით, თუმცა აღნიშნული ანალიზის შედეგები არ არის დოკუმენტირები; შესაბამისად სასურველია ანგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა კვლევები და გამოკითხვების ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“;
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის შინა განაწესი;
- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ❖ სასურველია ანგარიშების მომზადება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს.</p> <p>სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას.</p> <p>პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების და ასევე ოთხი დამოუკიდებელი ექსპერტის, გარე შემფასებლის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიკაციისას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; ○ გარე ექსპერტების შეფასება; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი). ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი. მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. ამ ეტაპზე პროგრამა არ იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას; თუმცა პროგრამის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დააფიქსირა აღნიშნულ პროცესში ჩართულობის მზაობა.

პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სტუდენტთა აკადემიურ მოსწრების ანალიზის შედეგები. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და ნაწილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან, თუმცა დაწესებულების მიერ არ იქნა წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშები; შესაბამისად აუცილებელია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

პროგრამის თვითშეფასების პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებით და ასევე ანალიზის შედეგებიც არის დოკუმენტირებული.

მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი;
- უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების დოკუმენტი;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;

<ul style="list-style-type: none"> ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით;
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე




აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ნანა ცინცაძე



ილია ბოცვაძე



მარიამი ალექსიძე

